




საშურის მოახლა



№15 (389)

24 აპრილი, ორშაბათი, 2023 წელი

საფრანგეთისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, საშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი იწყება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, საშურში, წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი დაიწყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, საშურის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელებს,



საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებს, და ღონისძიებას დასრულდა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, საშურის და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა დუგლაძე, საშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა წყალმომარაგებისა და ახალი ქსელი, აშენდება წყლის სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, ჭაბურღილები, რეზერვუარები. ასევე, მოეწყობა წყალარინების ქსელი, ჩატარდება კოლექტორების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები და აშენდება წყალარინების გამწმენდი ნაგებობა.

„საშურის წყალმომარაგების პროექტი აქტიურ ფაზაში შევიდა. დღეს განვიხილეთ პროექტის მიმდინარეობა და მის ფარგლებში დასახული ღონისძიებები. მნიშვნელოვანია, რომ პროექტთან დაკავშირებული ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები ძალიან მალე დაიწყება. აუცილებლად ელოდებით“

ნის მოსახლეობისთვის, ასევე ჯანმრთელობისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებას და გარემოს დაცვას, მათ შორის კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებას და ბიომრავალფეროვნების დაცვას. ეს თანამშრომლობა საქართველოსა და საფრანგეთს, და უფრო ზოგადად, ევროპელ პარტნიორებს შორის, უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას და ქვეყანას დაახლოებს წყლის რესურსების მართვის ევროპულ სტანდარტებთან.“ - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში შერაზ გასარიმ.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საშურში ამ მასშტაბის პროექტი წყალმომარაგებისა და წყალარინების თვალსაზრისით არ განხორციელებულა, რაც საშურისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას უზარმაზარ პრობლემას მოუგვარებს. მინდა მაგალითად გადავუხადო საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირის ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის“ - განაცხადა მზია გიორგობიანმა.

პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ საშურის მოსახლეობა 24 საათიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგებით ისარგებლებს. უწყვეტი წყალმომარაგება ექნება ზემო ოსიაურის, ქვემო ოსიაურისა და ცხრამუხას მოსახლეობასაც. წყალარინების გამწმენდი ნაგებობა ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების წმენდის სრულ ბიოლოგიურ ციკლს განხორციელებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოს დაბინძურების რისკებს.

„მონარული ვართ, რომ ვესწრებით საშურის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას. საფრანგეთი, ევროპის გუნდის (Team Europe) ფარგლებში მობილიზებულია, რომ საქართველოს გაუზიაროს ცოდნა და წყლის რესურსებისა და სისტემების მართვის გამოცდილება, რაც მოემსახურება საშურში მნიშვნელოვან რესურსზე - წყალზე ხელმისაწვდომობას რეგიონის მოსახლეობისთვის, ასევე ჯანმრთელობისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებას და გარემოს დაცვას, მათ შორის კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებას და ბიომრავალფეროვნების დაცვას. ეს თანამშრომლობა საქართველოსა და საფრანგეთს, და უფრო ზოგადად, ევროპელ პარტნიორებს შორის, უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას და ქვეყანას დაახლოებს წყლის რესურსების მართვის ევროპულ სტანდარტებთან.“ - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში შერაზ გასარიმ.



მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამა“ საშური მუნიციპალიტეტში თანამშრომლობის აქტიურ ეტაპზე გადავა და დასახული მიზნის მისაღწევად პარტნიორებთან ინტენსიურად იმუშავებს.



გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი

USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის“ და საშურის მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა, რაც მუნიციპალიტეტის და, განსაკუთრებით, მის ადმინისტრაციულ სასახლურ ზოლთან მდებარე თემების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის“ მიზანია ხელი შეუწყოს საშურის მუნიციპალიტეტის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც პოზიტიურად აისახება იქ მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე. თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამა საშურის მუნიციპალიტეტს სრულყოფილი მუნიციპალიტეტი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება და ამით მხარს დაუჭერს რეგიონის გაძლიერებას, ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენასა და არსებულ და სამომავლო რისკებთან გამკლავებაში.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის“ ხელმძღვანელი დინა კარიში, საშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის“ და საშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, მეწარმეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.



**ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
სკოლისგარეშე სახელოვნებო
საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო
სკოლების გაერთიანების
2022 წლის საქმიანობის
ანგარიში**



სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში, 2021-2022 სასწავლო წელს, ირიცხებოდა 478 მოსწავლე (ხაშურში - 322 (მ/შ 233-გოგონა, 89-ბიჭი) სურამში - 71 (56-გოგონა, 15-ბიჭი) ქვიშხეთში - 85 (51 გოგონა, 34 ბიჭი). სულ 340 გოგონა და 138 ბიჭი.

სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, ფუნქციონირებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა, რომელიც მოიცავს კლასიკური მუსიკის, სიმებიანი კვარტეტის და ქართული ხალხური ტრადიციული სიმღერისა და გალობის სასწავლებლის ხელშეწყობას.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 345000 ლარით.

2022 წელს სუბსიდიიდან გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 344796 ლარს. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების ფონდი - 299934 ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 26862 ლარი;
- არაფინანსური აქტივები - 18000 ლარი.

საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეულია ძირითადად კომუნალური ხარჯი, რომელიც შეადგენს 20864 ლარს. 4000 ლარი - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტა ასოციაციის კორპორატიული წევრობის საწევრო შენატანი. 1935 ლარი - კავშირგაბმულობის ხარჯი. დანარჩენი 63 ლარი გახარჯულია ხელის სადებიზინგაციო საშუალების შესაძენად.

არაფინანსური აქტივების მუხლიდან გაწეული 18000 ლარი გამოყენებულია როიალის შესაძენად. საკუთარი სახსრების ნაშთი შეადგენდა 5590 ლარს, 2022 წლის საკუთარი შემოსავალი - 30751 ლარს. (მათ შორის 30000 ლარი კულტურის სამინისტროსგან მიღებული გრანტი აკუსტიკური როიალის შესაძენად.) საკუთარი სახსრებიდან გახარჯულია სულ 35897 ლარი, მ/შ 2526 ლარი ხელფასის დანამატი, 2175 ლარი ლარი-საქონელი და მომსახურება. (312 ლარი მივლინების ხარჯი და 1863 ლარი წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლების გაერთიანებისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთების, საინტარჯო-ჰიგიენური დასუფთავებისათვის საჭირო საქონლის შესაძენად, 282 ლარი - დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება (ბიუჯეტის ანაზღაურება) 349 ლარი - დასუფთავების მოსაკრებელი და 30565 ლარი არაფინანსური აქტივი (შეძენილია როიალი და სურამის სამუსიკო სკოლისათვის პრინტერი), შესაბამისად, 2023 წლის დასაწყისში, საკუთარი სახსრების ნაშთი შეადგენს 444 ლარს.

2022 წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში. 2022 წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 2022 წლის 9 აპრილს, ქ. თბილისში, ჩატარდა მე-12 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები“ I ტური, სადაც მონაწილეობდნენ ხაშურის სამუსიკო სკოლის სიმებიან საკრავთა განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლეები: ჯობაძე ანამარია (II კლასი) და თეკლა კაპანაძე (V კლასი) პედაგოგი ფ. სადალაშვილი, კ/მ თამაზ აბრამიძე. მათ წარმატებით გადალახეს I ტური.
2. 2022 წლის 9 აპრილს, კომპოზიტორთა სახლში, ჩატარდა კონკურსის „იპოვე ვარსკვლავი შენი“ პირველი ტური, სადაც მონაწილეობა მიიღო ხაშურის სამუსიკო სკოლის ვოკალურ ექსპერიმენტულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ლიანა ტატიშვილი, კ/მ მაია ინდუაშვილი. ანსამბლმა წარმატებით გაიარა პირველი ტური და მონაწილეობა მიიღო დასკვნით გალა კონცერტზე.
3. 2022 წლის 14 აპრილს, ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო ზ. ფალიაშვილის სახელობის სიმფონიური ორკესტრის მცირე შემადგენლობით (დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი). მათთან ერთად კონცერტში მონაწილეობდა სიმებიან საკრავთა განყოფილების (ვიოლინოს) კლასის 12 მოსწავლე (2 ბიჭი და 10 გოგო). (პედაგოგი ფ. სადალაშვილი)
4. 2022 წლის 1 მაისს, ქ. თბილისში, ანსტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში მევიოლინეთა ანსამბლმა (12 მოსწავლე) მონაწილეობა მიიღო გალა-კონცერტზე, სადაც მიენიჭათ ლაურეატის წოდება და დაჯილდოვდნენ დიპლომებით.
5. 2022 წლის 7 მაისს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხაშურის სამუსიკო სკოლის ვოკალურ ექსპერიმენტულმა ანსამბლმა (10 მოს-

წავლე, 6 ბიჭი და 4 გოგო) ხელმძღვანელი ლიანა ტატიშვილი, კ/მ მაია ინდუაშვილი. მოიპოვა პირველი საპრიზო კატეგორია, აგრეთვე ანსამბლის ხელმძღვანელი ქალბატონი ლიანა ტატიშვილი დაჯილდოვდა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის სპეციალური სერტიფიკატით.

6. 2022 წლის 15 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით, ქ. სენაკში, მუსიკოს ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით, ჩატარდა მე-9 არტ ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა ხაშურის სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების (ვიოლინოს) კლასის 3 მოსწავლე: ჯობაძე ანამარია, ანამარია სამხარაძე და თეკლა კაპანაძე. (პედაგოგი ფატი სადალაშვილი).

მოსწავლეებს მიენიჭათ საპატიო დიპლომები და ლაურეატის წოდება.

7. 2022 წლის 26 მაისი. მევიოლინეთა ანსამბლი (12 მოსწავლე) მონაწილეობს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

8. 2022 წლის 8 ივნისს, სიმებიან საკრავთა განყოფილების პედაგოგმა ფატი სადალაშვილმა, ქალაქ ბორჯომის სამუსიკო სკოლაში, გამართა კლასის კონცერტი, სადაც წარმატებით შესრულდა წლის საუკეთესო ნამუშევრები.

9. 2022 წლის 17 ივნისს, ქალაქ გორში, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ინიციატივით (თავმჯდომარე: ხელოვნებათმცოდნე მანანა ასმეგელი) და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ჩატარდა რეგიონული კონკურსი საქართველოს სამუსიკო სკოლების მონაწილეობით, სადაც წარმატებით მონაწილეობდა სავიოლინო კლასის 3 მოსწავლე. (პედაგოგი ფ. სადალაშვილი, კ/მ თამაზ აბრამიძე)

10. 2022 წლის ივნისი. სავიოლინო კლასის მოსწავლე თეკლა კაპანაძე წარმატებით მონაწილეობს ესპანეთში, ქალაქ ბარსელონას საზაფხულო „სკოლა ბანაკში“ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში და დაჯილდოვდა დიპლომებით.

11. 2022 წლის 22 ივნისი. ხაშურის სამუსიკო სკოლის პედაგოგმა ლიანა ტატიშვილმა ჩაატარა მასტერ კლასი საგანში „ვოკალური ანსამბლი“.

12. 2022 წლის 9 ივლისს, ქალაქ თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაიმართა მე-11 რეგიონალური დათვალეობის გალა კონცერტი, სადაც ხაშურის სამუსიკო სკოლის მევიოლინეებმა (პედაგ. ფ. სადალაშვილი, კ/მ თამაზ აბრამიძე) მიღწეულ წარმატებას. თეკლა კაპანაძემ დაიმსახურა უმაღლესი შეფასება და ფულადი პრემია. ანამარია სამხარაძემ - I ხარისხის დიპლომი.

13. 2022 წლის 27 ივლისს, ქალაქ ბათუმში, ჩატარდა „შავი ზღვის“ ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა ხაშურის სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლი (12 მოსწავლე მათ შორის 2 ბიჭი, 10 გოგო).

14. 2022 წლის 13 ოქტომბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, გაიმართა თბილისის „ნიჭიერთა ათწლეულის“ და კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებისგან შემდგარი ორკესტრის და მაღალი კლასის პიანისტის ნუცა კასრადის მონაწილეობით კლასიკური მუსიკის კონცერტი.

15. 2022 წლის 12-13 ოქტომბერს, ისრაელის ქალაქ ცფატში, გაიმართა XII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის სიმებიანი განყოფილების V კლასის მოსწავლემ ანანო ბერიძემ და ანა ჩოჩიაძე. კურსდამთავრებულმა ანა გოლუბიანამ (პედაგოგი ფ.



სადალაშვილი, კ/მ თამაზ აბრამიძე) ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ონლიან რეჟიმში. მოსწავლეებმა აიღეს I საპრიზო ადგილი თავიანთ კატეგორიაში და დაჯილდოვდნენ დიპლომებით და თასებით. აგრეთვე მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულები ლიკა კალმახელიძე (ვიოლინო) და ლაშა სუციშვილი (საყვირი).

16. 2022 წლის 2 დეკემბრიდან 7 დეკემბრამდე, ქალაქ ბათუმში, ნინო კუპატაძის ორგანიზებით ჩატარდა კლასიკური მუსიკის ფესტივალი „ფესტივალიდან ფესტივალამდე“, სადაც სიმებიან ორკესტრთან ერთად მონაწილეობდა სიმებიან საკრავთა განყოფილების V კლასის მოსწავლე ანა ჩოჩია. ანა ჩოჩიაძე დაიმსახურა ლაურეატის წოდება და დიპლომი.

17. 2022 წლის 8 დეკემბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, მოწვეული იყო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, პროფესორი ვახტანგ (ვატო) ჟორდანიას, რომელმაც ჩაატარა კლასიკური მუსიკის კონცერტი (კონცერტის მხარდაჭერი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო).

18. 2022 წლის 9 დეკემბერი-ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი აქტივობის ბოლოს ხაშურის სამუსიკო სკოლა მსოფლიო კამპანიას გამოეხმაურა ღონისძიებით „მუსიკა ძალადობის წინააღმდეგ“. ხაშურის სამუსიკო სკოლის პედაგოგების: თეა ტატიშვილის, ფატიმა სადალაშვილის, მაია მურადაშვილის, თამაზ აბრამიძის და ხათუნა ღვალაძის მიერ თემატურად შესრულდა კლასიკური და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ლიპარტელიანმა მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მოსწავლეებს, ღონისძიების წამყვანს და ავტორს პედაგოგ ინგა ხრიკაძეს საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიებისათვის.

19. 2022 წლის 22 დეკემბერი-ხაშურის სამუსიკო სკოლის საახალწლო კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ ხაშურის სამუსიკო სკოლის პედაგოგები:

(დასასრული მე-4 გვერდზე)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33,34,35,40,41,42,43. 2022 წ. #1, 2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 46, 47, 48, 49, 50. 2023წ. #1, 2, 3, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13)

წ. სარალიძე არაერთი ფესტივალის ლაურეატი. 1956 წელს იგი ლენინგრადის ახალგაზრდული ფესტივალის ლაურეატი და „ოქროს მედლის“ მფლობელი გახდა.

წ. სარალიძეს 1976 წელს გადაეცა „სახალხო განათლების წარჩინებულის სამკრდე ნიშანი“, დაჯილდოებულია მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ (1970), „შრომის ვეტერანი (1982).

წ. სარალიძეს 2000 წელს გადაეცა ღირსების ორდენი. გარდაიცვალა 2013 წელს.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ ვლადიმერის ძე სულაბერიძე დაიბადა ხაშურში 1952 წელს. აქვე დაამთავრა რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლა. სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში ხალხთმოსახლეობის ეკონომიკისა და დემოგრაფიის სპეციალობით.

1974 წლიდან სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევით, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში.

ა. სულაბერიძის მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებებია დემოგრაფია, ოჯახის სოციოლოგია, ეკონომიკა, სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა. არის 100-მდე მეცნიერული, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის, წიგნის ავტორი. მისი შრომების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია უცხოეთში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი.

ცნობილი დასტაქარი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კარლო გიორგის ძე ტაბატაძე დაიბადა ქ. ხაშურში 1930 წელს. ცნობილი პედაგოგის გიორგი ტაბატაძის ოჯახში. დაამთავრა ხაშურის მე-2 საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. აქედან იგი სასწავლებლად გადადის ლენინგრადის კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. მისი დამთავრების შემდეგ იქვე იწყებს მოღვაწეობას ქირურგად. მონაწილეობდა ვიეტნამის ომში, როგორც სამხედრო ექიმი. 1968 წლიდან მედიცინის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება აქვს. წლების მანძილზე იყო მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის გამგის მოადგილე. 1983 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1987 წლიდან არის პროფესორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა საოპერაციო სარეანიმაციო თვითმფრინავები და იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ფრენის დროს ოპერაციებს აკეთებდა. მისი სადოქტორო დისერტაცია სწორედ ამ პრობლემას ეძღვნებოდა.

კ. ტაბატაძის კალამს მედიცინის დარგში 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის. მათ შორის 4 მონოგრაფია და 1 გამოგონება. მისი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა სამხედრო-საველე ქირურგიის, ტრავმატოლოგიის, მუცლის ღრუს ქირურგიის და გადაუდებელი ქირურგიის საკითხები. დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის“ ორდენითა და მედლებით.

1990 წლიდან კ. ტაბატაძე მშობლიურ ქალაქში მოღვაწეობდა. იყო რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე. ტრავმატოლოგიად დაიღუპა 1993 წელს. მისი სახელი მინიჭებული აქვს ქალაქ ხაშურში ერთ-ერთ ქუჩას.

ხაშურმა რამდენიმე ცნობილი ისტორიკოსი მისცა საქართველოს. მათ შორის პირველი რიგში უნდა დავასახელოთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კარლო გრიგოლის ძე ტაბატაძე. იგი 1924 წელს დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფ. ბერეთისაში. დაამთავრა რკ. ხაშურის №4 (ქალაქის VII) სკოლა. 1942-44 წლებში სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა, დაიჭრა, შინ დაბრუნდა და 1945-1950 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადდაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შაჰ-თამაზ I-ის „თეხეჭირე“, როგორც წყარო ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის“, ხოლო 1975 წელს სადოქტორო დისერტაცია: „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე“.

კ. ტაბატაძე 1957 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. არჩეული იყო ვარძიის აკადემიის და ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

გარდაიცვალა 2003 წელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლია ნიკოლოზის ასული ფერაძე დაიბადა 1916 წელს ქ. ხაშურში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1933-35 წლებში მუშაობდა ხაშურის, ხოლო 1935-1937 თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრებში. 1941 წლიდან იყო თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი. ამ თეატრის სცენაზე ლ. ფერაძემ არაერთი საინტერესო სახე შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია: სტიოშა (ნ. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), ავაფია ტიხონოვნა (ნ. გოგოლის „ქორწინება“), მანანა (ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“), დალი (მ. ჯაფარიძის „ლამპარი“), მაყვალა (მ. მიხალკოვის „საგანგებო დავალება“), ძიძა (მოლიერის „სკაპენის ოინები“), ნუნუ (გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშე“), კურდღელი და ციყვი (ქ. ქუჩუაშვილის „ზამთრის ზღაპარი“), თამუნია (გ. ბერძენიშვილის „ბედნიერებისაგან“), ანა (ი. პოპოვის

„ოჯახი“), ცელქა (ვაჟა-ფშაველას „სათავური“), მელია (ე. შვარცის „წითელქუდა“), ლარისა (ა. ოსტროვსკის „უეცარი სიმღიდრე“) და სხვა.

ხაშურში სახალხო განათლების საქმეს თავის დროზე მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს ქავთარიების ოჯახმა – ნოემ და ზინაიდამ. მათ ოჯახში 1929 წელს დაიბადა მიხეილ ნოეს ძე ქავთარია. მან 1947 წელს დაამთავრა რკინიგზის ხაშურის III (ქალაქის VI) საშუალო სკოლა, ხოლო 1952 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1954-1957 წლებში იქვე სწავლობდა ასპირანტურაში ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით.

1958 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში და საარქივო ფონდების განყოფილების გამგე.

1960 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს - სადოქტორო დისერტაცია. საკანდიდატო ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას მიუძღვნა – XVII-XVIII საუკუნეების ერთ-ერთი გამოჩენილი მწერლის შემოქმედებას. გამოავლინა მისი სრულიად უცნობი თხზულებანი, რომელთა მნიშვნელობა გვიან ფეოდალური ხანის ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიაში დღეს ყველგან აღიარებულია. სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა XVII-XVIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლას. შრომა წიგნად დაისტამბა 1977 წელს („ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს“) და მაღალი შეფასება დაიმსახურა. მ. ქავთარია 70-მდე მეცნიერული შრომის ავტორია. გამოცემული აქვს 10 წიგნი.

გარდაიცვალა 2019 წელს.

ხაშურელ ღონიკიშვილთა ღირსეული წარმომადგენელია ცნობილი ისტორიკოსი მიხეილ გიორგის ძე ღონიკიშვილი, რომელიც 1924 წელს დაიბადა ხაშურის რაიონის სოფ. ზეკოტაში. 1931 წელს შევიდა რკინიგზის ხაშურის 7-წლიან სკოლაში. მე-6 კლასიდან გადავიდა ხაშურის 1-ელ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს. იმავე წელს გაწვეული იქნა წითელი არმიის რიგებში, საიდანაც დაბრუნდა 1945 წლის დეკემბერში. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

1945 წელს შევიდა მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1953 წელს. 1954 წლიდან მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამწლიან რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტის გამგედ.

1959 წლიდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1985 წელს სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე ნაშრომი. მათ შორის 4 მონოგრაფია.

მ. ღონიკიშვილი წარმატებით იკვლევს ბაგრატიონთა სამეფო გვარის საქმიანობას, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ისე შემდეგ ხანაშიც. გამოქვეყნებული აქვს ბაგრატიონების რუსეთში გადასახლებისა და მოღვაწეობის ისტორიის შესახებ არაერთი ნაშრომი. რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიას.

გარდაიცვალა 2019 წელს.

პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა ავთანდილის ძე შუბითიძე დაიბადა 1959 წელს ხაშურში. 1976 წელს დაამთავრა ხაშურის III საშუალო სკოლა. 1977-1982 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქვე განაგრძო სწავლა ასპირანტურაში. 1986 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრაზე. 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2004 წელს სადოქტორო დისერტაცია (თემა: „ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები“). 2000 წელს აირჩიეს საქართველოს უშიშროების სამინისტროს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 14 წიგნი. აქედან 4 მონოგრაფია და დანარჩენი სახელმძღვანელოები). „საქართველოს დიდი მეფეები“ (1991, 1994, 2005), „ნოე ჟორდანიას – პოლიტოლოგი და სოვეტოლოგი (1998), „რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს“ (2000), „პოლიტოლოგია“ (2001), „პოლიტოლოგია, პოლიტიკური ტექნოლოგიები“ (ოთარ დავითაშვილთან თანაავტორობით, 2002), „პოლიტოლოგია, პოლიტიკური და საარჩევნო ტექნოლოგიები“ (ი. კვესელავასთან და გ. ჭანუყვაძესთან თანაავტორობით, 2003), „ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები“ (2003), „გოვი თოფაძე – წარმატებული ბიზნესმენი და პოლიტიკოსი“ (2003), „საზოგადოებასთან ერთიანობა“ (მ. ბოჭორიძესთან თანაავტორობით, 2005), „გამოყენებითი პოლიტოლოგია“ (ვ. ფერაძესთან თანაავტორობით, 2005), „პოლიტოლოგია“ (2006), „ჩვენი სამშობლოს ისტორია“ (2007), „ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები“ (დ. ბოლქვაძესთან ერთად, 2008), „იმიჯოლოგია“ (2008). „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველები“ (2008). არის ავტორი V კლასის სახელმძღვანელოსი „ჩვენი სამშობლოს მაცნე“ (საქართველოს ისტორია), არის ერთ-ერთი ავტორი ახალი სასკოლო სახელმძღვანელოსი „მოქალაქეთმცოდნეობა“ (სამოქალაქო აღზრდა). საგამომცემლო საზით გამოცემული აქვს 15-მდე წიგნი.

მისი ინტერესების სფეროა ისტორია, პოლიტოლოგია, საარჩევნო ტექნოლოგიები, იმიჯი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პოლიტიკური მარკეტინგი.

ვაჟა შუბითიძე არის ეროვნული და პოლიტიკური მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი. სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების (პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები) ხელმძღვანელი. არის პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის ასოციაციის პრეზიდენტი.

2014 - 2019 წლებში არჩეული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

ხაშურელი იყო ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი გურამ ნიკოლოზის ძე შენგელია. მან აქვე დაამთავრა რკინიგზის ხაშურის №3 საშუალო სკოლა, შემდეგ უნივერსიტეტი. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გარდაცვალებამდე (2008) მოღვაწეობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების გაერთიანების 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

თეა ტატიშვილი, ხათუნა ღვალაძე, მაია მურადაშვილი, მაია ინდუაშვილი, ანა ინასარიძე, ფატიმა სადალაშვილი და თამაზ აბრამიძე.

ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები: ანა ჩოჩია, მევიოლინეთა ანსამბლი (2 ბიჭი და 8 გოგო) კურსდამთავრებულები: ნიჭიერთა ათწლეულის მოსწავლეები ლიკა კალმახელიძე და სოფიო ნოზაძე.

საღამოს უძღვებოდა პედაგოგი ინგა ხრიკაძე.

20. 2022 წლის 29 დეკემბერი-ქალაქ თბილისში კლასიკური მუსიკის ფესტივალ „პარმონიას“ ხელმძღვანელის ციცი ბიჭიკაშვილის მიერ ორგანიზებულ საახალწლო კონცერტზე მონაწილეობა მიიღო მევიოლინეთა ანსამბლმა (10 მოსწავლე, 2 ბიჭი და 8 გოგო) პედაგოგი ფ. სადალაშვილი.

ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის გუნდის მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

21. 2022 წლის 17 მარტი. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის პედაგოგ გიორგი შუბითიძის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში, საკონცერტო დარბაზ „მუზაში“, ეგიდით „დიდება უკრაინას“ ჩატარებულ ღონისძიებაში. (12 მოსწავლე, 8 - ბიჭი, 4 - გოგონა)

22. 2022 წლის მარტის თვეში ხალხური სიმღერის გუნდი (22 მოსწავლე, 13 ბიჭი და 9 გოგო) ონლაინ რეჟიმში მონაწილეობდა ისრაელის ქალაქ ცფატში გამართულ ინტერნაციონალურ საგუნდო ფესტივალში, სადაც დაიმსახურეს I ადგილი და გამარჯვების თასი.

23. 2022 წლის 7 ივნისი. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის პედაგოგ გიორგი შუბითიძის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ტაშისკარში ჩატარებულ ტრადიციულ დღესასწაულზე „ტაშისკარ-საკაკაძეობა“

24. 2022 წლის 28 ივნისი. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის პედაგოგ გიორგი შუბითიძის გუნდმა მონაწილეობა მიიღო სოფელ მარაბდაში ჩატარებულ ტრადიციულ „მარაბდობის“ დღესასწაულზე.

25. 2022 წლის 2 ივლისი. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის პედაგოგ გიორგი შუბითიძის გუნდი წარმატებით მონაწილეობს ქობულეთში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე.

26. 2022 წლის 11-12-13 აგვისტოს ხალხური სიმღერის გუნდმა უმახპინძლა სამშობლოსმცოდნეობის ონლაინ სკოლის ჯგუფის წევრებს.

27. 2022 წლის 12-13 ოქტომბერს -ხალხური სიმღერის გუნდი (22 მოსწავლე, 13 ბიჭი და 9 გოგო) ონლაინ რეჟიმში მონაწილეობდა ისრაელის ქალაქ ცფატში გამართულ ხელგუნების საერთაშორისო ფესტივალში, სადაც დაიმსახურეს I კატეგორიის დიპლომი და გამარჯვების თასი.

28. 2022 წლის 15 ოქტომბერს ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ტრადიციულ „ხაშურობის“ დღესასწაულზე.

29. 2022 წლის 5 ნოემბერს გუნდი (15 მოსწავლე, 8 გოგო, 7 ბიჭი) მონაწილეობდა ქალაქ გორში შშმ პირების მხარდასაჭერად გამართულ საქველმოქმედო კონცერტში.

30. 15-20-21 დეკემბერს -ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ხალხური სიმღერის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ბორჯომ-ბაკურიანის ფესტივალში „შემოდგომის ჰანგები.“ 2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ის, რომ საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება“ გამარჯვებულად ცნეს ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანების მიერ წარდგენილი პროექტი „როილის განახლება ხაშურის სამუსიკო სკოლაში“, რის მიხედვითაც მიღებულია გრანტი საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსგან 30000 ლარის ოდენობით, ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზისთვის როილის შესაძენად.

ამავე მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, მიღებულია 18000 ლარი და შეძენილია 48000 ლარის ღირებულების თანამედროვე აკუსტიკური როილი, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს შემდგომში შემოქმედებითი აქტიურობის ზრდას.

ლალი რუხაძე ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების მმართველი

— განათლება — დასასრული. დასაწყისი იხ. „ნმ“ #13

მორის დანდურიშვილი: ყველა სკოლა საკუთარი თავის კონკურენტი უნდა იყოს...

ციურისში ჩვენ ვიყავით სკოლაში მიწვეულები და გავეცანით იქაურ განათლების სისტემას. ეს იყო ციურისთან ახლოს ერთ-ერთი სოფლის ცენტრში მდებარე სკოლა 200 - მდე მოსწავლით. სკოლას პარალელურად მართავს ორი დირექტორი. ბევრ დეტალს გავეცანით სკოლის შესახებ. და გმტყვიოთ გულწრფელად, რომ ქართული განათლების სისტემა იდეის დონეზე, არაფრით არ ჩამორჩება, თუ არა უსწრებს მათ განათლების სისტემას. მე გავაკეთე ჩემი



დასკვნა, რომ აღსრულების ნაწილში გვიჭირს. პირობითად, ვიცით, რომ ეს გვინდა, მაგრამ აქამდე როგორ მივიდეთ, ამაში გვაქვს პრობლემა.

ციურისში სამუშაო დღეს იწყებენ დილის 6 საათზე, ქუჩებში ადამიანს ვერ ნახავ. ყველა მუშაობს, ყველას ფუნქცია აქვს, მიწას ამუშავებს. არ იფიქროთ, რომ ბუნებრივი წიაღისეულით მდიდარი ქვეყანაა და ამიტომ არის ძლიერი. არა! ყველა თავის საქმეს აკეთებს. სკოლაში გვიტყვიან, რომ ვერ ნახავთ აქ არეულ ფუნქციას. დირექტორმაც კი რომ უთხრას თანამშრომელს გააკეთოს ის, რაც მას არ ევალება, არ გააკეთებს არავითარ შემთხვევაში. მაგრამ ის, რაც მას ევალება, მაქსიმუმ უნდა გააკეთოს, ვადებულების მაქსიმუმ უნდა გააკეთოს.

სკოლას არ აქვს ღობე. არ ჰქონდათ დისციპლინური დარღვევები. მოვიკითხე, რა სახის დისციპლინური დარღვევები ჰქონდათ. ეროვნული სასწავლო გეგმა არ აქვთ. განათლების ეროვნული მიზნები ჰქონდათ, ძალიან ზოგადი დოკუმენტი და ყველა სკოლა ინდივიდუალურად ცდილობს მიზნამდე მივიდეს. საკუთარი თავის კონკურენტები არიან, რაც მე ძალიან მომწონს და ეს მე ჩემი სკოლის თანამშრომლებისთვისაც მითქვამს და ბავშვებისთვისაც. ჩვენი მეზობელი სკოლები ჩვენი კონკურენტები არ არიან, ჩვენ ვართ ჩვენი თავის კონკურენტები. წელს შარშანდელზე უკეთესები უნდა ვიყოთ, კვლავ წლებად დღეებ და ეს პრინციპი იქაც აღმოვჩინებ. რომ უნდა გავაუმჯობესო ჩემი შედეგი, რომელიც მქონდა წინა წელს. და მივიდეთ იქამდე, რომ სახელმწიფოს დაკვეთა შევასრულო.

რატომ ვახსენებ დირექტორები, უფრო ზუსტად - ორი დირექტორი?! თუ სკოლის ორივე დირექტორი გადაწყვეტილებაზე ვერ შეთანხმდა, სამეურვეო საბჭო ორივეს უშვებს თანამდებობიდან. შანს არ უტოვებს, რომ დარჩნენ. შეიძლება თქვათ, რომ წასვლას არ ურჩევნიათ, შეთანხმდნენ? არა! ბოლო ოთხი

წლის სტატისტიკა, გვითხრეს, რომ ორჯერ გამოიცვალნენ იქ დირექტორები იმის გამო, რომ მათ საერთო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. იმტომ ვერ მიაღწიეს, რომ აქვთ საკუთარი პრინციპები და არც ისე მარტივია, რომ საკუთარ პრინციპებს გადააბიჯონ.

ისევე პიროვნულ განვითარებამდე და კონკურენციამდე მივდივართ, არა? რომ ის პრინციპი რაც აქვთ, ღრმად სწამთ და არ დათმობენ მარტივად...

კი, კი, არ დათმობენ.

რაც თვალშია ცხელია, უკვე გითხარით, რომ სკოლას ღობე არ აქვს, მოწესრიგებული გარემოა. დახვეწებებზე მოსწავლეთა გადაადგილება, ისე, როგორ მთელს ქვეყანაში, არის აბსოლუტურად მოწესრიგებული. მაქსიმალურად ცდილობს სკოლა, რომ ბავშვი იყოს დამოუკიდებელი... მშობელს შვილის სკოლამდე მიყვანა ეკრძალება. ბავშვი თვითონ უნდა მივიდეს სკოლამდე. მისახვედელი გზა უსაფრთხოა. პო. გამახსენდა ძველი დრო, მახსოვს, საქართველოშიც ასე იყო ჩვენს ბავშვობაში, რომ არ შეეძლო მშობელს აერჩია სკოლა. ტერიტორიულად სადაც ცხოვრობდა, იქ უნდა მიეყვანა შვილიც სკოლაში. იქაც ასეა დღეს. ისინი ასე ხსნიან ამ ფაქტს, რომ ხარისხი ყველგან ერთია. შესაბამისად მშობელს, არ სჭირდება არჩევანის გაკეთება, სად წაიყვანოს შვილი.

კიდევ ერთი: სასადალოდ ბავშვები მიდიან სახლში დიდ შესვენებაზე. დიდი შესვენება აქვთ დაახლოებით, საათ ნახევრიანი და მიდიან შინ, სადილოდ და ბრუნდებიან სკოლაში. სასწავლო პროცესი იწყება 9 საათზე და 4 საათამდე გრძელდება, გაკვეთილები არის 45 წუთიანი.

სკოლების 98 პროცენტი არის საჯარო. ძალიან ცოტა კერძო სკოლაა. ყველა საჯარო სკოლას ჰყავს უნივერსიტეტიდან მიმავრებული მეცნიერი, პროფესორი, რომელიც აკვირდება პროცესს და რეკომენდაციის სახით, როგორც მკვლევარი, აწვდის სკოლას, რა მიმართულებით შეცვალონ მიდგომები.

სკოლას არ აქვს საკუთარი ბიუჯეტი. მუნიციპალურ ბიუჯეტზე დამოკიდებული და რაც უფრო მდიდარია მუნიციპალიტეტი, მით უფრო მდიდარია სკოლაც. და მდიდარი სკოლები, შედარებით ღარიბ სკოლებს, ღარიბი მუნიციპალიტეტის სკოლებს, ეხმარებიან. უწილადებენ რესურსებს.

სკოლა არის მატერიალური რესურსებით მაქსიმალურად აღჭურვილი. სასკოლო სივრცეებში არის კონკრეტული კარადები, სადაც განთავსებულია სხვადასხვა საგნის რესურსი, რომლით სარგებლობა შეუძლია ყველას... ეს ძალიან მაგარია. რესურსებით მდიდარი სკოლა არის რეალურად ორიენტირებული მოსწავლეებზე.

ჩვენი სტუმრობისას სკოლის დაწყებით კლასებში, ჰქონდათ თამაშის პერიოდი. თამაშის პერიოდს დათმობილი აქვს ორი კვირა. რა არის ეს თამაშები? მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თამაში? არა! თამაში თვითონ ბავშვებმა უნდა მოიფიქრონ და ეს არ უნდა იყოს სპონტანური, სტიქიური თამაში. უნდა მოიფიქრონ და თუ შეიმუშავებენ ერთ ან თუნდაც რამდენიმე თამაშს, ეძლევათ დრო იმისათვის, რომ ითამაშონ ორი კვირა. მაგრამ ეს უპირობოდ, უნდა იყოს მათ მიერ მოფიქრებული. ესეც პროცესის ნაწილია. ნახეთ, მე მოვიფიქრე თამაში და მაქვს უფლება ვითამაშო. ეს არის ბავშვისათვის მამოტივირებელი.

სწავლა არის სამ საფეხურიანი, 12 კლასიანი, ისევე როგორც ჩვენთან. ერთი განსხვავებით, დაწყებითი საფეხური ჩვენს ქვეყანაში მთავრდება 6 კლასის ჩათვლით და შევიცარიაში კი 7 კლასის ჩათვლით. სავალდებულო არის 9 კლასი. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა იღებს პროფესიულ განათლებას, რაც ძალიან პოპულარულია და რამაც ძალიან გამახარა. ჩემთვის ასევე ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენთანაც იკიდებს ნელ-ნელა ფეხს პროფესიული განათლება. ძალიან ჰგავს პროფესიული განათლება ჩვენს სისტემას. აქვთ აგრეთვე სასერთიფიკაციო კურსები და გრძელვადიანი კურსებიც. სერთიფიკატის გარეშე, თუ სახელმწიფომ არ დაადასტურა, რომ ადამიანს კომპეტენცია გააჩნია გაღესოს, ააშენოს და ა.შ. არ მიიღებს დამსაქმებელი, მათ შორის არც კერძო.

კიდევ სკოლაში იყო ერთი ასეთი საოცარი რამ, რომ სკოლას შუაზე ჰყოფდა მატარებელი.

(დასასრული მე-5 გვერდზე)

მორის დანდურიშვილი: ყველა სკოლა საკუთარი თავის კონკურენტი უნდა იყოს...

-მატარებელი?!

დიას,მატარებელი დადის სკოლის ტერიტორიაზე,მას ჰყოფს შუაზე,ორი კორპუსი - გზის აქეთ,ორი კორპუსი - სარკინიგზო გზის იქეთ. ამ მატარებლით სარგებლობს ოთხი სოფლის მოსახლეობა. სკოლაშიც მატარებლით დადიან ბავშვები. მე მინდა გითხრათ,რომ სკოლის ტერიტორიაზე მანქანით არავინ მინახავს. ყველა მოძრაობს ველოსიპედით ან მოტოციკლით.

ერთგვარი გაოცება... შენთვის მუნიციპალურ ავტოსადგომზე დგას მხოლოდ მოტოციკლები. არ იდგა არც ერთი მანქანა.

სკოლა არის ვიზუალურად ძალიან ლამაზი, არა მდიდრული, არამედ გემოვნებით შექმნილი გარემო. გვიმასპინძლეს სხვადასხვა სივრცეებში. გვანერგეს ლაბორატორიები,ბიბლიოთეკა, სადაც ბავშვები მუშაობენ. ზოგადად სკოლაში არის ძალიან საქმიანო გარემო.

-თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ სკოლამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე-

-ვინაიდან ვიცოდი,რომ უნდა წავსულიყავი ციურხის სკოლაში,აქედან წავივი მომარჯვებული კალამითა და ფურცლით,რომ რაღაცები მომეწონა. მინდა გითხრათ, რომ პირიქით მოხდა. ჩვენი დაინტერესდნენ. ვერ გეტყვით, იმდენი კითხვა დაგვისვეს ჩვენი განათლების სისტემაზე, ძალიან მოეწონათ, გაუკვირდათ რაღაცეები. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რა მოეწონათ. მეტ დეტალს მთხოვდნენ, მეკითხებოდნენ როგორ აკეთებს ამა თუ იმ დეტალს საქართველოში. ჩვენო მაგალითითაა, ასეთი რამ გადაწყვიტოთ, რომ მეზობელ ბავშვებს ერთმანეთი ჩავაბაროთ. რომ ერთი მეზობელი ბავშვი თუ კარგად სწავლობს, მეორე მივაბაროთ, მაგრამ ამან არ იმუშავაო. კვლევა მიმდინარეობს, როგორ შეეცვალოთ, თურმე მარტო მეზობლობა არ ნიშნავს მზრუნველობას, არ იზრუნეს ერთმანეთზეო. და მათი მიზანი იყო, ზრუნვა ესწავლებინათ. ანუ მკვლევარები არიან. ჩვენც ასე ვართ. დეკლარირებული გვაქვს, რომ მასწავლებელი უნდა იყოს მკვლევარი. მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ვერ მივყავით. ამიტომ აღვნიშნე, რომ დეკლარირებულად არანერგულბრავად გვაქვს ყველაფერი გაწერილი, უბრალოდ გვინდა აღსრულება. რომ გაწერილი გეგმები იყოს რეალისტური, შეიძლება, დაძლევა და ჩვენი განათლების სისტემაზე აუცილებლად იმ სათქმელს იტყვის, რასაც ამბობს ევროპის ქვეყნები.

კიდევ ერთი კარგი იქაური სკოლის შესახებ. სკოლა მზრუნველობს ცხოველთა თავშესაფრებს. იქ არ არსებობენ მაწანწალა ცხოველები. არ დადიან ქუჩაში, არ შეგხვდებით. სხვადასხვა სკოლებს აქვთ სხვადასხვა სოციალური პასუხისმგებლობები. სკოლამ, რომელიც ჩვენ მოვინახულეთ, გადაწყვიტა ეზრუნა ცხოველთა თავშესაფარზე.

ჩემი დაკვირვებით, ჩემი დასკვნებით, ეს ქვეყანა შექმნა სამოქალაქო საზოგადოებაში. არც ერთ ტრანსპორტში არ შეუმოწმებიათ ბილეთი, არავინ დამინახავს რომ ბილეთი არ ყველს. ამას არავინ ამოწმებს, იმიტომ რომ ეს ასე უნდა იყოს. ეს არის სამოქალაქო ცნობიერება, ასახული მათ ქმედებაში. ჩვენ კი გვაქვს სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ ქმედებაში ასახვას ვუფრთხილეთ, გვეზარება.

მათ თქვეს, რომ ჩვენმა პროფესორებმა, რომლებიც სკოლაში მუშაობენ და აკვირდებიან სასწავლო პროცესს, თუკი შენიშნეს, რომ სკოლაში კრიტიკული აზროვნების გამოსამუშავებელი აქტივობები იკლებს და ამის გამო ბავშვებს კითხვები აღარ აქვთ, არიან დათრგუნულები, პასიურები, მყისიერად მთელი გუნდი გადაეწეობა იმისათვის, რომ შეცვალოს რაიმე, კრიტიკულ აზროვნებაში ხომ არ უჭირთ ბავშვებს, რაიმე კომპლექსს ხომ არ უჩენს მასწავლებელი და ამის გამო ის ჩუმად არის, რომ არ თქვას, შეცდომა არ დაუშვას, არ იაზროვნოს.

რაც თვალშისაცემი იყო, არის ის, რომ სპეციალური საჭიროების მქონე

მოსწავლეები სკოლაში სხვა დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად არ ჰყავთ. მინდა გითხრათ, რომ არ მომეწონა. აქვთ ცალკე სკოლა, სადაც ისინი სწავლობენ. მე ვამბობ, რომ ჩვენი სისტემა უკეთესია ამ მიმართულებით.

იქაურ სკოლაში ორიენტირებულები არიან სუსტ მოსწავლეზე და წუხან, რომ ყურადღების მიღმა რჩებათ საშუალო და კარგი მოსწავრების მოსწავლეები. როდესაც მკითხეს, რა მომეწონა ყველაზე მეტად, ვუპასუხე, რომ მე ჩემს



ლიდერობაში რაც ხელს მიშლის, არის მენეჯერული საქმიანობა სკოლაში - შესყიდვები, ადმინისტრაციული საქმისწარმოება და სხვა, რომელიც როგორც საგანმანათლებლო ლიდერს საკმაოდ დროს ართმევს. ეს არის მინიმუმამდე დაყვანილი და არიან მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესზე და საგანმანათლებლო ლიდერობაზე ორიენტირებულები.

-მეც უნდა გითხროთ: ყველაზე მეტად რა მოგეწონათ თქვენი ვიზიტიდან? მთელი გავყოფ სამად:

პირველი: სკოლით დავიწეებ და ვიტყვი, რომ ყველაზე მეტად მომეწონა, სკოლა, რომელშიც კვლევა, დაკვირვება მიმდინარეობს საკუთარ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, მშობელთა საჭიროებებზე. ამაზე ორიენტირებული სკოლა. მახსოვს ასეთი დევიზი იყო ხოლმე ჩვენს წიგნებში. იაზროვნე გლობალურად და იმოქმედე ლოკალურად. ეს დავინახე მათთან. აზროვნებენ გლობალურად და მოქმედებენ ლოკალურად. მაგრამ მოქმედებენ, რეალურად მოქმედებენ.

მეორე: მოსახლეობა. სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც არის ორიენტირებული საკუთარი ქვეყნის გაძლიერებაზე და საკუთარი პასუხისმგებლობის ზედმიწევნით შესრულებაზე. საკუთარი თავის კონკურენცია.

მესამე გვირგვინი: ეს არის ბირთვული კვლევების ევროპული ლაბორატორია, რომელიც ვიზუალურადაც და შინაარსობრივადაც შთაბეჭდავია. საოცარი ადგილია, სადაც რაც ჩვენთან მომავალია, იქ წარსულია, ადამიანები სამყაროს უყურებენ აბსოლუტურად სხვა კუთხით და რაც ყველაზე მთავარია ქმნიან იმას რაც თითოეული ადამიანს ყოფა-ცხოვრებას უშუალოდ ეხება. ისინი ადამიანს უქმნიან განვითარების შესაძლებლობას და შემდეგ ადამიანის არჩევანია გამოიყენებს თუ არა.

თვა ახალკაცი



სოფელ ალში, ტაძრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება მიმდინარეობს

„პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით 2000- მდე ადგილობრივი ისარგებლებს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სანიადვრე არხების მოწყობა, პროექტით გათვალისწინებული საგზაო მონიშვნების გაკეთებაც. მუნიციპალიტეტის მასშტაბით

სოფლის შიდა გზების მოწესრიგება ეტაპობრივად გაგრძელდება.“ - აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის მოადგილე ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სამუშაოებს, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ღირებულება კი 554 662 ლარს შეადგენს.

სოფელ ბრილში გზის მშენებლობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

„სოფელ ბრილში გზის მოასფალტების მეორე ეტაპი მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია საგზაო მონიშვნების გაკეთებაც.

დღემდე, სოფელ ბრილამდე მისასვლელი გზა კაპიტალურად არასდროს მოწყობილა, რაც გადაადგილებას აფერხებდა, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა კი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, სოფელ ბრილში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, გარდამავალ პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, რომლის ღირებულებაც 2 მილიონ ლარადგა.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ახალი დირექტორი დაინიშნა



ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, 11 აპრილიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორად კლარა გელაშვილი დაინიშნა.

მცირე ბიოგრაფიული შტრიხები: დაიბადა 1964 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ, დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი(ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი).

შრომითი საქმიანობა დაიწყო ტაშისკრის სკოლა-ინტერნატში, შემდეგ კი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონში პედაგოგად. 2003 წლიდან მუშაობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში. იყო მეცნიერ-მუშაკი, შემდეგ კი-ფონდების მცველი. 2019 წელს დაამთავრა სსუ დოქტურატურა. არის ფილოლოგიის დოქტორი, მწერალთა კავშირის და გიგა ლორთქიფანიძის სახელობის კინოს, თეატრის, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის წევრი. გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული. არის ათეულობით სამეცნიერო კვლევისა და ლიტერატურული წერილების ავტორი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

„ხაშურის მოამბე“, თავის მრავალმრიცხოვან მკითხველთან ერთად, ულოცავს ქალბატონ კლარას და იმედს გამოთქვამს, რომ მისი მმართველობის პერიოდში, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანება მრავალ წარმატებას მიაღწევს.

თამადაობის შესახებ

თამადაობა უძველესი ქართული ტრადიციაა. თამადას, ქართული სუფრის წინამძღოლს, ჩვეულებრივ, მასპინძელი ან სუფრის წევრები ირჩევენ. პატივსაცემ, ჭარბად მამაკაცს, რომელიც სუფრის თადარიგის მცოდნედ და კარგ მოსაუბრედ ითვლებოდა, სუფრის დანიშნულების მიხედვით (ქორწილი, ძეგობა, დღეობა, ქელეხი და სხვა).

უთნოგრაფიული მონაცემებით, ძველად, ოჯახებში, თამადაობას ბავშვობიდანვე აჩვენებდნენ. საქართველოს მთიანეთის სოფლებში თამადას არ ირჩევენ, მის მოვალეობას ხევისბერი ასრულებდა.

დღეს კი, ზოგიერთ ქართველს, თუ არა ქართველს, ირონიულად ეღიბება სიტყვა თამადას სხენებისას. მაგრამ ვაიცინიკოსთა ქირქილი ვერას დააკლებს თამადაობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. განა სუფრაზე ყურისწამებ ზრინვა-გინიასს და ანარქიას წესრიგი და ჩვენებურად თამადას არჩევა არ სჭირდება?

მონტელაგენტო ცინიკოსთა ქირქილს მხოლოდ ზოგიერთი სუფრისათვის ლოთური წრეგადასულობა, უნიჭობა და უბადრუკობა აძლევს საფუძველს. მათ არ უნახავთ ნამდვილი თამადაობა. არ უნახავთ თამადა მახვილგონივრულ გამოთქმებს, იგაგებს, აფორიზმების, მოსწრებელი სიტყვა-პასუხის ფეიერვერკს რომ აფრქვევს. თამადა, რომელიც „პულბულს დაისვამს ჭიქახე“.



მაგრამ უნახავთ თამადა, რომელიც ჯახირობს, წვალობს, იტანჯება, სიტყვებს ვერ აბამს ერთმანეთთან, კენისის, ქართულად გამართულად ვერ მეტყველებს, უხეშობს... და ნატრობ, ნეტავ გაჩუქდესო. არადა, თამადამ მადლიანი ქართული უნდა იცოდეს. უნდა იცოდეს, რომ ქართული ენა „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს... ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაა“. (დ. ასათიანი)

მისგან უნდა გავიგონოთ გიორგი ლეონიძის სათაყვანებელი „მუხლადი“, „მაძღარი“, „ბედაური“ სიტყვები. პოეზია უნდა ესმოდეს, იცოდეს, წაკითხული მაინც უნდა ჰქონდეს რუსთველი, ვაჟა, ილია, აკაკი, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, დ. ასათიანი, გალაკტიონი, გრიშაშვილი, ლეონიძე, ძველი თბილისის ბოჰემა: ეთიმ გურჯი, გივიშვილი, სკანდაროვა, პაზირა... უნდა იყენებდეს მათ ლექსებს, მოხდენილად ჩაურთავდეს.

თამადა დარბაისულ-ქართველური წესისა და რიგის დემონსტრირებას უნდა ახდენდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სადღეგრძელოებს წარმოთქვამს. გრიგოლ ორბელიანმა პოემაში „ლხინი ერევის სიახლოვეს“ შემოგვთავაზა ოთხი სადღეგრძელო, რომელსაც ყოფნა-არყოფნის წინაშე მდგარი თამადა და მემორები წარმოთქვამენ, ოთხი წმინდა ცნების, რომლებიც განსაზღვრავენ და განაპირობებენ ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას. ესენია: წინაპრები, მამული, მეგობრობა და სიყვარული. სწორედ ამ ოთხი უმთავრესი და უწმინდესი ცნებებით უპირისპირდება სიცოცხლე სიკვდილს.

შეიძლება ამ სადღეგრძელოებს დაემატოს სიკეთის სადღეგრძელო: სიკეთე, რომელიც ხელის უშლის უსამართლობას, ჩაგვრას... ყოველივე იმას, რაც ბილწავს ადამიანის სულს და აშკარად მის ღირსებას, სიკეთე, რომელიც ებრძვის ბოროტებას, „ბოროტსა სძლია კეთილმა“... შევსვთ ადამიანთა უდიდესი განძის, სიცოცხლის სადღეგრძელო,

- ფეხბურთი -

დასანანი მარცხი

ფეხბურთში, საქართველოს რეგიონულ ჩემპიონატში, ხაშურის „ივერია“ მეორე ტურის მატჩი გამართა. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ პირველ ტურში, გასვლაზე, მათ კასპის გუნდი დაამარცხეს - 4:1, მეორე ტურში კი ახალციხის „მესხეთს“ მასპინძლობდნენ. შეხვედრა ოფიციალური ცერემონიით - ეროვნული პიშინის ფონზე, დროშის აღმართვით დაიწყო. სტადიონის მესვეურებმა შესანიშნავად მოაგვარეს ორგანიზაციული საკითხები და ყველაფერი გააკეთეს, რომ სეზონის პირველ მატჩს არენა ლამაზად შეხვედროდა. გულშემატკივრებიც მრავლად მოვიდნენ. სხვათაშორის, ამ მხრივ (მაყურებელთა დასწრება), რეგიონლიგის გუნდებს შორის კი არა, მთლიანად საქართველოს ჩემპიონატში - უმაღლესი ლიგის ჩათვლით, ჩვენი გულშემატკივარი ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია და დასწრების მხრივ ლიდერებს შორისაა.

უკვე ვწერდით და განვმეორდებთ: წელს "ივერიის" მთავარი მიზანი პირველობა და ერთი საფეხური დაწინაურებაა. ამისათვის წინაპირობაც შეიქმნა. ასე თუ ისე მოწესრიგდა ფინანსური პრობლემა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტის მერიამ და ადგილობრივმა ბიზნესმენებმა. ინფრასტრუქტურა შესანიშნავი გვაქვს და ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოც რეგიონებს შორის. ასე რომ დასახული მიზნისთვის ბრძოლა მართლაც უპრიანია.



ორიოდ სიტყვა ახალციხის „მესხეთს“: შარშანდელისაგან განსხვავებით, როდესაც გუნდს არავითარი პრეტენზია თუ ამბიცია არ ჰქონდა და აუტსაიდერებში იყო, წელს პირიქითაა - მათი მიზანიც დაწინაურებაა და ამ მიზნის მისაღწევად გუნდი მთლიანად გადაახალისეს. უფრო სწორად - მთლიანად შეცვალეს და ამაღს ათი მოწვეული ფეხბურთელის დამატებაც მოწმობს. დიას, მეტოქე სერიოზული იყო და ეს მატჩმაც დაადასტურა.

შეხვედრა სრულიად განსხვავებული ტაქტიკით დაიწყო გუნდებმა. „ივერია“ შეტევებში ეძებდა წარმატებას, „მესხეთი“ კი მხოლოდ კონტრშეტევების იმედზე იყო. უფრო მეტიც: ახალციხელებმა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ეგრეთწოდებული „ავტობუსი“ ჩააყენეს საკუთარ კართან და მთელი გუნდი მხოლოდ კარის დაცვაზე იყო ორიენტირებული. „ივერიის“ მუდმივმა იერიშებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს ნახა ლოგიკური დასასრული, როდესაც მარჯვენა ფრთიდან ორ მცველთან ჰიდიდში გიორგი ნოზაძემ მოახერხა და პირდაპირ კუთხურის ხაზიდან შეძლო ულამაზესი გოლის გატანა. პირველი ტაიმი ასე დასრულდა.



ყველაფერი კი მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში გადაწყდა. ორი კონტრშეტევა, ჩვენი მცველების დაბნეულობა და უკვე „მესხეთი“ დაწინაურდა 2:1. დარჩენილი დრო „ივერია“ მთლიანად შეტევებში გაატარა. იყო დაძაბული მომენტებიც, მაგრამ, გულშემატკივართა საოცარი მხარდაჭერის მიუხედავად, ანგარიში, სამწუხაროდ, აღარ შეცვლილა. მართლაც დასანანი მარცხი ვიწვინეთ. თუმცა, ეს არ უნდა იქცეს ტრაგედიად. პირიქით - ეს მარცხი მოტივატორი უნდა გახდეს და გეჯერა, ასეც იქნება. მწვრთნელები და ფეხბურთელები ალბათ შესაბამის დასკვნებს გააკეთებენ და წარმატებებიც არ დააყოვნებს. წინ ხომ, ფაქტობრივად, მთელი სეზონია.

გოგი გოგოლაძე

ჩვენი უკვდავი ბუნების სადღეგრძელო და სხვა.

ცნობილი თამადა იყო ქვიშხეთელი გრიშა გუდაძე. დიდად განსწავლული, მოქიფვე, დარდიმანდი კაცი. დათა თუთაშხიას (რომანშია ნახსენები) მეგობარი, პოეზიის მოყვარული...

80-იან წლებში, ჭაბუა ამირჯიბის მოუწყვეთ შეხვედრა ქვიშხეთის კულტურის სახლში. თამადა ბატონი გრიშა გახლდათ. თავიდანვე განაცხადა, დემოკრატი კაცი ვარ და ვის როგორ გნებავთ, ისე დალიეთო. ოღონდ, ჭაბუკას სადღეგრძელო (ასე ეძახდნენ მეგობრები ჭაბუკას) ბოლომდე უნდა დალიოთო.

მშვენივრად მოქარგა, მოხატა იქაურობა. გუსმენდი და მიკვირდა საიდან მოდიოდა ეს ძვირფასი სიტყვები, სიტყვებით დაგვაპურა. მასხოვს ქალბატონების სადღეგრძელო დაახლოებით ასე ბრძანა „ისინი ვადღეგრძელოთ, ვინც გულში სიყვარულის ცეცხლი აგვინოთ, ვინც ავგაროზივით გარედან კი არა, შიგნიდან ესაღებუნება გულს და შევბას გვაძლევს, ვის გამოც პატარა სუვედაც თან გვდევს“...

კულტურის განყოფილების გამგემ გოგი გოგოლაძემ ულამაზესი სიტყვებით შეახსნა ხოტბა ქვიშხეთელ კულტურის მუშაკებს ამ ლამაზი ღონისძიებისათვის. ბატონმა მურთაზ ლიპარტელიანმა „ადამიანის უკვდავების, სულიერი ამაღლების ერთ-ერთი სათავე“ სიყვარული ადღეგრძელა და გალაკტიონის ცნობილი ლექსით დაასრულა.

თამადას სმაც უნდა შეეძლოს „დასვეს თამადად გოლიათი მსმელი კახელთა“ (დ. ასათიანი)

ეს არის, რაც მიხდოდა მეთქვა. დანარჩენი სხვებმა ბრძანონ.

კლიმენტი სუთიაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგოლაძე.

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი იბეჭდება თბილისში.